

დისკრიმინაციის აკრძალვა კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობებში
(ევროკავშირის სამართლის გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე)

ქეთევან კვარაცხელია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ვაშაკიძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: ქეთევან კვარაცხელია

თარიღი: 22.06.2018

სარჩევი

აბრევიატურა	iii
შესავალი.....	1
თავი I. თანასწორობის პრინციპის დაცვის საკანონმდებლო გარანტიები	2
თავი II. ევროკავშირის კომპეტენცია კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე.....	5
2.1 ევროკავშირის სამართლის წყაროები.....	5
2.2 დისკრიმინაციის აკრძალვა ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით	8
თავი III. ევროკავშირის სამართლის გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე.....	10
3.1 დირექტივათა შესრულების ვალდებულების ფარგლები.....	10
თავი IV. ევროკავშირის დირექტივებისა და საქართველოს შრომის კოდექსის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი	14
4.1.დისკრიმინაცია რელიგიური ან რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიშნით	14
4.1.1 ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა	21
4.1.2 საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა	25
4.2 რასობრივი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია	29
4.3. დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით	31
დასკვნა	40
გამოყენებული ლიტერატურა/ბიბლიოგრაფია	42

აბრევიატურა

ქართული:

იხ. - იხილეთ

რედ. - რედაქტორი

შშმ - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ა.შ - ასე შემდეგ

სშკ- საქართველოს შრომის კოდექსი

და სხვ. - და სხვა

ინგლისური

ECJ – European Court of Justice (ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო)

ILO – International Labor Organization (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია)

Art. – Article (მუხლი)

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება სამართლის ისეთი ფუძემდებლური პრინციპის კვლევას, როგორცაა დისკრიმინაციის აკრძალვა კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობებში. ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული დირექტივებისა და საქართველოს შრომის კოდექსის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, გაანალიზებული იქნება დირექტივებისა და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის შედეგები. გარკვეული საკითხების უკეთ შესწავლის მიზნით, ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები.

ნაშრომი შედგება შესავალისგან, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისგან. ნაშრომის შესავალში წარმოჩენილია თემის აქტუალობა და კვლევის ძირითადი მიზანი. ნაშრომის ძირითად ნაწილში, უპირველეს ყოვლისა, განხილულია თანასწორობის პრინციპის დაცვის სამართლებრივი გარანტიები, რომელსაც შემდგომ, კერძოსამართლებრივ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე ევროკავშირის კომპეტენციის განხილვა მოჰყვება. ნაშრომში განხილულა ევროკავშირის სამართლის გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე და დირექტივის შესრულების ვალდებულების ფარგლები. ევროკავშირის დირექტივებისა და საქართველოს შრომის კოდექსის შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში, გაანალიზებულია სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის მარეგულირებელი დირექტივები და მიმოხილულია ევროკავშირისა მართლმსაჯულებისა და საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. ნაშრომი სრულდება დასკვნით, სადაც წარმოდგენილია კვლევის შედეგების ანალიზი და გაცემულია პასუხი იმ კითხვებისთვის, რომელიც ნაშრომის შესავალ ნაწილში დაისვა.

Abstract

The paper refers to the research of fundamental principle of the law , such as prohibition of discrimination in the private-law labor relations. Based on the comparative legal analysis of EU anti-discrimination directives and the Labor Code of Georgia, it will be analysed the results of harmonization of directives and national legislation. In order to examine certain issues, there will be used comparative legal, logical and systematic research methods in the paper.

The present work consists of the introduction, the main part and the conclusion. The introduction of these paper demonstrates, actuality of the issue and the basic goal of research. The main part of paper primarily deals with the principle of equality of legal protection guarantees, which is followed to discuss the competence of EU during prohibition of discrimination. The paper discusses the impact of EU legislation on the Georgian legislation and the scope of the directives perform obligations. In the scope of EU directives and the Labor Code of the Georgia comparative legal analysis, it has been analyzed the various grounds of prohibition of discrimination, and regulatory review of the EU Justice and the General Court of Georgia practice. The paper ends with the conclusion of the analysis of the survey results and issued a response to the questions that were asked in the introduction part.